

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

ოქმი N16

ქ. ლანჩხუთი

18 აგვისტო, 2011 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა რევაზ ჩიტიძე — მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზვიად აფხაზავა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე დავით ჩხაიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გია ორაგველიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გოჩა ჯანაშია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე პაატა ფირცხალაიშვილი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ილო გვარჯალაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე მერაბ წილოსანი.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი გოგუაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციის სამსახურის უფროსი ეთერ ჭყონია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი ლია იმნაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური შესყიდვების და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი მაია აფხაზავა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი ზაზა ქავზინაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანიზაციისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი

სოსო ჩხაიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმიანობის სამსახურის მთ. სპეციალისტი პაატა ურუშაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი პირები.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტაძემ ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 24 დეკემბრის N50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, პროექტზე ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი რ. ჩიტაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 31 მარტის N41 განკარგულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, პროექტზე ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი რ. ჩიტაძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღებისა და გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, პროექტზე ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი რ. ჩიტაძე/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების ან მშენებლობის ეტაპის მშენებლობის ნებართვით დადგენილ ვადაში დაუსრულებლობის შემთხვევაში ჯარიმის ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, პროექტზე ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი რ. ჩიტაძე/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, შესახვევების, ჩიხების, მრავალბინიანი სახლების სადარბაზოებისა და ბინების ნუმერაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, პროექტზე ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი რ. ჩიტაძე/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გვიმბალაურის ადმინისტრაციული ერთეულის ქუჩების სახელდებისა და ნუმერაციის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, პროექტზე ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი რ. ჩიტაძე/

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 24 დეკემბრის N94 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, პროექტზე ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი რ. ჩიტბე/

8. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების მიერ დარგების მიხედვით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურებისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საქმიანობის კონტროლის განხორციელების შესახებ.

/მომხსენებელი რ. ჩიტბე/

9. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სატენდერო და სააუქციონო კომისიის თავმჯდომარის მიერ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მიმდინარე ტენდერებისა და აუქციონების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის შესახებ.

/მომხსენებელი გ. გოგუაძე/

10. სოფლის პროგრამებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის თაობაზე ინსპექტირების ჯგუფის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი ნ. ლლონტი/

11. სხვადასხვა.

ბიუროს წევრების მიერ დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტბემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 7 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

თავდაპირველად ბიურომ იმსჯელა ორგანიზაციულ საკითხებზე და მიიღო გადაწყვეტილება:

- საკრებულოს ბიუროს მორიგი სხდომის ჩატარების თარიღად განისაზღვროს მ/წ 26 აგვისტო.
- საკრებულოს მორიგი სხდომის ჩატარების თარიღად განისაზღვროს მ/წ 2 სექტემბერი.

მომხრე 7 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 24 დეკემბრის N50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ინფორმაცია გააკეთა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ. მან აღნიშნა, რომ მ/წ 15 აგვისტოს მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში საგადასახადო, არასაგადასახადო და არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებულმა შემოსავალმა 574 546 ლარი შეადგინა და წლიური გეგმა შესრულდა 61.7%-ით, მათ შორის საგადასახადო შემოსავლები 78.0%-ით, არასაგადასახადო შემოსავლების წლიური გეგმა შესრულებული 77.1%-ით, შემოსავალი არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებულია 52 018 ლარი ანუ წლიურ გეგმასთან 204 702 ლარით ნაკლები. წლის დარჩენილ პერიოდში სასოფლო სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო მიწის აუქციონის წესით გაყიდვიდან შემოსავალი 138 702 ლარს მიაღწევს ანუ არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსავალი უნდა შემცირდეს 66 000 ლარით და შემცირება უნდა განხორციელდეს არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ქონების გადასახადის ზრდის ხარჯზე.

არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებლების გათვლისას დადგინდა, რომ გადასახადის აღნიშნულ სახეში შემოსავალი გეგმის ზევით მიიღება 392 840 ლარის ოდენობით. აქედან გამომდინარე შესაძლებელია ბიუჯეტის შემოსავლების გეგმა გაიზარდოს 326 840 ლარით.

შემოსავლების ზრდის ხარჯზე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს შეექმნა შესაძლებლობა დამატებით დააფინანსოს აუცილებელი ხარჯები. რაც დეტალურად არის გაწერილი წარმოდგენილ პროექტში.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე რევაზ ჩიტიმეძე აღნიშნა, რომ მიზანშეწონილი და აუცილებელია შესაბამისმა სამსახურებმა მოამზადონ და წარმოდგენილ პროექტს დაურთონ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ქონების გადასახადის გადამხდელთა ბაზა და საპროგნოზო შემოსავლის დეტალური გაწერა გადამხდელების მიხედვით, ასევე არაფინანსური აქტივებიდან წლის დარჩენილ პერიოდში მისაღები შემოსავლის გაწერა ობიექტების მიხედვით.

ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) დადგენილების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისია (პ. ფირცხალაიშვილი).

2) დადგენილების პროექტი განხილვისათვის გადაეგზავნოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა და ინფრასტრუქტურის კომისიებს, ფრაქციებს – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „ლანჩხუთელები“.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტიმეძე კენჭი უყარა დღის წესრიგის პირველ საკითხს:

მომხრე 7 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 31 მარტის N41 განკარგულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ინფორმაცია გააკეთა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა მაია აფხაზავამ. მან აღნიშნა, რომ შესყიდვების გეგმის ცვლილების პროექტში წარმოდგენილი ცვლილებები ძირითადად გამომდინარეობს ბიუჯეტში შესატანი ცვლილებებიდან. წარმოდგენილ პროექტში დეტალურად არის გაწერილი ცვლილებები.

ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) განკარგულების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისია (პ. ფირცხალაიშვილი).

2) განკარგულების პროექტი განხილვისათვის გადაეგზავნოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა და ინფრასტრუქტურის კომისიებს, ფრაქციებს – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „ლანჩხუთელები“.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტინძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს:

მომხრე 7 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღებისა და გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ინფორმაცია გააკეთა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსმა შოთა ჩაგუნავამ. მან აღნიშნა, რომ წესი შემუშავებულია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, „რეკლამის შესახებ“ და „ლიცენზიების და ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონების შესაბამისად და განსაზღვრავს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების წესს. გარე რეკლამის განთავსების ნებართვა გაიცემა მხოლოდ სახელმწიფო ან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ან სხვა ქონებაზე.

ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირის ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ორგანიზებული წარმონაქმნის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ან სხვა ქონებაზე გარე რეკლამის განთავსება დაიშვება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გარე რეკლამის განთავსების ნებართვა გაიცემა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ აუქციონის ფორმით.

აუქციონის საწყისი ფასი განისაზღვრება ნებართვის მამიებლის მიერ გარე რეკლამის განთავსებიდან მისაღები შემოსავლის პროცენტის სახით, რომელსაც აუქციონის გამოცხადებამდე ადგენს საკრებულო, საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინებით.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე რევაზ ჩიტინძემ აღნიშნა, რომ აუცილებელია შესაბამის კომისიებსა და ფრაქციებზე საკითხის განხილვის დროს დეტალურად იქნას გაანალიზებული გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მიღების წესის ზოგადი დებულების მე-8 და მე-9 მუხლები, რათა იგი მოყვანილ იქნას არსებულ კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაში.

ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ დაფიქსირებულა

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) დადგენილების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისია (მ. წილოსანი).

2) დადგენილების პროექტი განხილვისათვის გადაეგზავნოს ინფრასტრუქტურის, საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიებს, ფრაქციებს – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „ლანჩხუთელები“.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს:

მომხრე 7 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების ან მშენებლობის ეტაპის მშენებლობის ნებართვით დადგენილ ვადაში დაუსრულებლობის შემთხვევაში ჯარიმის ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ინფორმაცია გააკეთა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსმა შოთა ჩაგუნავამ. მან აღნიშნა, რომ „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში 2011 წლის 24 ივნისს შევიდა ცვლილება. ხსენებულ კანონს დამატა 23-ე პრიმა მუხლი, რომლის პირველი პუნქტის შესაბამისად საკრებულო დადგენილებით განსაზღვრავს იმ ზონებს, სადაც წარმოებული საამშენებლო სამუშაოების ან მშენებლობის ეტაპის მშენებლობის ნებართვით დადგენილ ვადაში დაუსრულებლობის შემთხვევისთვის განსაზღვრულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. კონკრეტულ ზონაში მინიმალური ჯარიმა არ უნდა იყოს 0,1 ლარზე ნაკლები ან მაქსიმუმ 1,00 ლარზე მეტი ასაშენებელი შენობა-ნაგებობის საერთო ფართობის თითოეულ კვ.მ.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) დადგენილების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისია (მ. წილოსანი).

2) დადგენილების პროექტი განხილვისათვის გადაეგზავნოს ინფრასტრუქტურის, საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიებს, ფრაქციებს – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „ლანჩხუთელები“.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს:

მომხრე 7 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, შესახვევების, ჩიხების, მრავალბინიანი სახლების სადარბაზოებისა და ბინების ნუმერაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ინფორმაცია გააკეთა ლანჩხუთის

მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსმა შოთა ჩაგუნავამ. მან აღნიშნა, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის, მე-3 პუნქტისა და 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის შესაბამისად უნდა დამტკიცდეს ზემოთ აღნიშნული წესი.

წესის შესაბამისად დაინტერესებული პირის განცხადებას ნუმერაციის შესახებ განიხილავს მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანიზაციისა, არქიტექტურისა და საპროექტო სამსახური, რომელიც საქართველოს ზოგადი კოდექსით დადგენილ ვადებში გამგებელს წარუდგენს გადაწყვეტილების პროექტს ნუმერაციის თაობაზე საკრებულოს თავმჯდომარისათვის წარსადგენად. გადაწყვეტილებას იღებს საკრებულო.

ბიუროს წევრების მიერ საკითხის მიმართ შენიშვნები არ დაფიქსირებულა

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) დადგენილების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (ი. გავრჯალაძე).

2) დადგენილების პროექტი განხილვისათვის გადაეგზავნოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის და ინფრასტრუქტურის კომისიებს, ფრაქციებს – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „ლანჩხუთელები“.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტინძე კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს:

მომხრე 7 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეექვსე საკითხთან დაკავშირებით „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გვიმბალაურის ადმინისტრაციული ერთეულის ქუჩების სახელდებისა და ნუმერაციის შესახებ“ ინფორმაცია გააკეთა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსმა შოთა ჩაგუნავამ. მან აღნიშნა, რომ გვიმბალაურის ტერიტორიულ ორგანოში 2011 წლის 7 ივლისს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიერ გაგზავნილ იქნა N01/ 169135 წერილი, რომლითაც სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიერ განხორციელდა სოფ. გვიმბალაურის დამისამართება. გვიმბალაურის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის მიერ მოსახლეობასთან კონსულტაციების საფუძველზე შემუშავებულ იქნა წინადადებები ადმინისტრაციული ერთეულის დასახლებების ქუჩების, მოედნების სახელდებისა და ნუმერაციის შესახებ. საკითხთან დაკავშირებით მანვე აღნიშნა, რომ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს

განმარტებით პროექტი საკრებულომ უნდა დაამტკიცოს განკარგულებით, ხოლო იუსტიციის სამინისტროს ნორმატიული აქტების სამართლებრივი ექსპერტიზის სამსახური კი მიიჩნევს, რომ ქუჩების სახელდება საკრებულომ უნდა მოახდინოს დადგენილებით. იგი მიზანშეწონილად თვლის საკითხი საბოლოოდ შეთანხმდეს სამხარეო ადმინისტრაციაში არსებულ ზედამხედველობის სამსახურთან.

საკითხის საბოლოოდ გარკვევის მიზნით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე რევაზ ჩიტბემ დაავალა გამგეობის იურიდიულ სამსახურს (შ. ჩაგუნავა) მოამზადოს წერილი სამხარეო ადმინისტრაციაში არსებულ ზედამხედველობის სამსახურში გასაგზავნად.

ბიუროს წევრების მიერ საკითხის მიმართ შენიშვნები არ დაფიქსირებულა

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) დადგენილების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისია (მ. წილოსანი).

2) დადგენილების პროექტი განხილვისათვის გადაეგზავნოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის და ინფრასტრუქტურის კომისიებს, ფრაქციებს – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „ლანჩხუთელები“.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტბემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს:

მომხრე 7 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 24 დეკემბრის N94 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ინფორმაცია გააკეთა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმიანობის სამსახურის მთ. სპეციალისტმა პაატა ურუშაძემ. მან აღნიშნა, რომ შემოსულია ბიკარბონატიული ჰემოდიალეზით დაავადებულთა 14 (თოთხმეტი) განცხადება ქალაქ ბათუმის სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების მიზნით დახმარების თაობაზე. მართალია აღნიშნული პროგრამა ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, მაგრამ მასში არ არის გათვალისწინებული ტრანსპორტირების ხარჯები.

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს 1 სექტემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პროგრამის განსახორციელებლად 2011 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული მოსახლეობის

სოციალური დაცვის ღონისძიებათა მუნიციპალური პროგრამის მუხლის დაფინანსების გაზრდას 8064 ლარით.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) განკარგულებოს პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისია (გ. ჯანაშია).

2) განკარგულების პროექტი განხილვისათვის გადაეგზავნოს სოციალურ საკითხთა კომისიას და ფრაქციებს – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „ლანჩხუთელები“.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 7 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მერვე საკითხთან დაკავშირებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების მიერ დარგების მიხედვით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურებისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საქმიანობის კონტროლის განხორციელების შესახებ ინფორმაცია გააკეთა საკრებულოს თავმჯდომარემ, რევაზ ჩიტაძემ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის (დებულების) 116-ე მუხლის თანახმად საკრებულოს კომისიები დარგების მიხედვით აკონტროლებენ შესაბამისი სამსახურების საქმიანობას, პერიოდულად ისმენენ მათ ანგარიშებს გაწეული მუშაობის შესახებ, შეიმუშავენ სათანადო რეკომენდაციებს, დასკვნებს და წარუდგენენ საკრებულოს ბიუროს სხდომას განსახილველად.

ბიურო სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტაძემ დაავალა საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეებს პირველ რიგში შესწავლილ იქნას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საქმიანობა და მასალები წარმოუდგინონ საკრებულოს არა უგვიანეს მ/წ 20 სექტემბრისა.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 7 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეცხრე საკითხთან დაკავშირებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სატენდერო და სააუქციონო კომისიის თავმჯდომარის მიერ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მიმდინარე ტენდერებისა და აუქციონების შესახებ ინფორმაცია სხდომას გააცნო მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი გოგუაძემ. მან აღნიშნა, რომ შ.ს.ს. გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს ლანჩხუთის რაიონული სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის შიდა ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოების შესყიდვის მიზნით ტენდერი

გამოცხადდა მ/წ 22 ივლისს, წინადადების მიღება დასრულდა 12 აგვისტოს. საწყისი ღირებულება შეადგენდა 60835 ლარს. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ორმა შემსრულებელმა. შ.პ.ს. „მტმ“-მა და შ.პ.ს. „ქეთურინამ“. შ.პ.ს. „მტმ“-ის მიერ შემოთავაზებულ იქნა 60575 ლარი, ხოლო შ.პ.ს. „ქეთურინას“ ბოლო შემოთავაზება შეადგენდა 54449 ლარს. დადგენილი წესის შესაბამისად განხილულ იქნა შ.პ.ს. „ქეთურინას“ მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება. წინადადება არ შეესაბამებოდა სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს. „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-12 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვის წარმოსადგენად პრეტენდენტს მიეცა ვადა 3 სამუშაო დღე.

შ.პ.ს. „ქეთურინას“ მიერ დადგენილ ვადაში წარმოდგენილ იქნა დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვა. ინფრასტრუქტურის, ურბანიზაციის, არქიტექტურის და საპროექტო სამსახურის დასკვნის შესაბამისად დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვა შესაბამეა სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს. მიმდინარე წლის 17 აგვისტოს პრეტენდენტს მიეცა 5 სამუშაო დღე საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოსადგენად.

შ.ს.ს. გურიის მთავარი სამმართველოს ლანჩხუთის რაიონული სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორიასთან ქუჩების რეაბილიტაციის სამუშაოს შესყიდვის მიზნით ტენდერი გამოცხადდა მ/წ 22 ივლისს, წინადადების მიღება დასრულდა 12 აგვისტოს. საწყისი ღირებულება შეადგენდა 42145 ლარს. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ორმა შემსრულებელმა, შ.პ.ს. „მტმ“ და ი.მ. „დათო ჯვართავამ“. შ.პ.ს. „მტმ“-ის მიერ შემოთავაზებული იქნა 42145 ლარი, ხოლო ი.მ. „დათო ჯვართავას“ ბოლო შემოთავაზება შეადგენდა 32116 ლარს. დადგენილი წესის შესაბამისად განხილულ იქნა ი.მ. „დათო ჯვართავას“ სატენდერო წინადადება. იგი შეესაბამებოდა შესმსყიდველის მოთხოვნებს. პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნა სრულყოფილად. ამჟამად მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება.

2011 წლის 3 აგვისტოს გამოცხადდა პირობიანი აუქციონი, რომელზეც გასაყიდად გატანილ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე 339კვ/მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. აუქციონის პირობა იყო ობიექტის მიმდებარე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული 1594 კვ/მ სკვერის კეთილმოწყობა.

გასაყიდი ობიექტის საწყისი ფასი განისაზღვრა – 6780 ლარით, აუქციონის ბიჯი – 670 ლარი და აუქციონის მონაწილის ბილეთის ფასი – 100 ლარი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე 339 კვ/მ მიწის ნაკვეთის პირობიანი აუქციონის წესით გასხვისებაზე პრეტენდენტებად დამტკიცდა:

ა) თინა თენგიშვილი (მცხოვრები ქ. ოზურგეთი ბესიკ გაბაშვილის 1-ლი შესახვევი N27 პ/ნ 33001009353)

ბ) ზვიად გორგილაძე (მცხოვრები ლანჩხუთის რაიონი სოფ. ნიგოთი, პ/ნ 26001000869)

გ) შ.პ.ს. „სოკარ პეტროლიუმ ჯორჯია“ (წარმოდგენილი ეკატერინე ჩიხლაძე მცხოვრები ქალაქ თბილისში ირაკლი აბაშიძის ქ. N31 ბინა 6;პ/ნ 01008008119)

2011 წლის 16 აგვისტოს 13 საათზე ჩატარდა აუქციონი, რომელზეც გაიმარჯვა ზვიად გორგილაძემ. მან 339 კვ/მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი შეიძინა 26210 ლარად.

საკითხთან დაკავშირებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე რევაზ ჩიტიძემ აღნიშნა, რომ აუცილებელია საპრივატიზებო ნუსხაში შეტანილ ობიექტებზე პირობითი აუქციონის შემთხვევაში, საკრებულოს მიერ დამტკიცებულ იქნას აუქციონზე ქონების გაყიდვის პირობები.

ბიურომ ცნობად მიიღო მუნიციპალიტეტის გამგებლის გიორგი გოგუაძის ინფორმაცია.

დღის წესრიგის მეათე საკითხთან დაკავშირებით სოფლის პროგრამებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის თაობაზე ინსპექტირების ჯგუფის ანგარიში სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანიზაციისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა სოსო ჩხაიძემ. მან აღნიშნა, სოფლის პროგრამით შესასრულებელი ობიექტებიდან დამთავრებული არის 39 ობიექტი, 5 ობიექტი არ დაწყებულა, ერთი ობიექტის ქონებრივი სტატუსი არის გასარკვევი, ერთი ობიექტი მზად არის ხელშეკრულების გასაფორმებლად, 43 ობიექტზე ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა.

დღეის მონაცემებით შესრულებულია შესასრულებელი სამუშაოების 58%. აგვისტოს თვეში დასამთავრებელია 8 ობიექტი.

ინფრასტრუქტურისათვის გამოყოფილი თანხიდან მიმდინარეობს ხიდის მშენებლობა აფხაძეების უბანში და ბარათაშვილის ქუჩის მოწესრიგების სამუშაოები, უახლოეს დღეებში

დაიწყება სამების ქუჩაზე და ჟორდანიას ქუჩის N112-ში მდებარე მრავალსართულიანი სახლის სახურავის შეკეთების სამუშაოები. (მონაცემები სოფლის პროგრამებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის თაობაზე თან ერთვის).

ბიურომ ცნობად მიიღო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2011 წლის სოფლის პროგრამებისა და ინფრასტრუქტურის პროექტების მიმდინარეობის თაობაზე ინსპექტირების ჯგუფის ინფორმაცია.

სხვადასხვა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე რევაზ ჩიტაძემ აღნიშნა, რომ მის მიერ გამოცემულია ბრძანება N96 (26.07.2011წ) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიულ პირთა მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების შესახებ“ მან დაავალა გამგეობის იურიდიულ სამსახურს (შ. ჩაგუნავა) ბრძანების შესაბამისად მომზადდეს განკარგულების პროექტი საკითხთან დაკავსირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) დაევალოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს (დონარა დოლიძეს) საკრებულოს მიერ განსახილველი სამართლებრივი აქტების პროექტების შესაბამის კომისიებსა და ფრაქციებში დაგზავნის ორგანიზაციული უზრუნველყოფა.

2) საკრებულოს კომისიებმა და ფრაქციებმა უზრუნველყოს პროექტების განხილვა და დასკვნების წარმოდგენა 2011 წლის 26 აგვისტომდე.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე:

რევაზ ჩიტაძე

საკრებულოს აპარატის უფროსის

მოვალეობის შემსრულებელი

დონარა დოლიძე

შემსრულებელი:

საკრებულოს მთ.სპეციალისტი საოქმო

და საორგანიზაციო საკითხებში

/მ. კეკელიძე/

